შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის
ფინანსური მდგრადობის ანალიზი
2023 წ.

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA განვითარებაზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც სადიპლომოს და ასევე, პროფესიული მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებს და საზოგადოებას მუდმივად სთავაზობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობას.

დაწესებულების მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ბაზარზე არსებულ წამყვან კომპანიებსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, კიდევ უფრო ზრდის საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ხარისხს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აკადემია პერიოდულად აწყობს დასაქმების ფორუმებს, რაც დაწესებულების კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს.

ქვეყნის შიგნით ბაზრის სუბიექტებისა და საგანმანათლებლო მომსახურების ადგილობრივ მიმწოდებლებთან თანამშრომლობის გარდა, აკადემია აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის პროცესზე და ახორციელებს ინგლისურენოვან პროგრამას. ჩართულია საერთაშორისო საგრანტო პროექტებში და აქვს მჭიდრო კავშირი ევროპის წამყვან კოლეჯებთან. აკადემიამ გაცვლითი პროგრამების ფარგლებში არაერთხელ უმასპინძლა გერმენელ პროფესიულ სტუდენტებს.

აკადემია წარმატებით ახორციელებს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს პროექტის „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები“ ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მზარდია აკადემიის როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია შპს “საქართველოს აკადემია-SBA”-ს 2023 წლის დაფინანსების წყაროების ანალიზი. კერძოდ, განხილულია შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა და მათი შინაარსი.

აკადემიის დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და არ არის დამოკიდებული მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებიდან შემოსავალზე. დაწესებულება მუდმივად მუშაობს ალტერნატიული შემოსავლების წყაროების გაფართოებაზე.

დიაგრამა N1.-ზე წარმოდგენილია შპს საქართველოს აკადემია-SBA- ს მთლიანი შემოსავლებისა და ხარჯების 3 წლის დინამიკა.

ბოლო წლის დინამიკა აჩვენებს, რომ დაწესებულების შემოსავლები მკვეთრად მზარდია. შესაბამისი დინამიკა ახასიათებს ხარჯებსაც. თუმცა, დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ დაწესებულების შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება ხარჯებს, რაც კომპანიის ფინანსურ მდგრადობაზე მეტყველებს.



მთლიანი შემოსავალი



აკადემიის მთლიანი შემოსავალი 2023 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია 49,8 %-ით.

<u>შემოსავალი ძირითადი მომსახურებიდან,</u> კერძოდ, სადიპლომო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 49 %-ით. აღნიშნული შემოსავლის ზრდა განპირობებულია აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოებით და შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ზრდით. ის ფაქტი, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ, მამოტივირებელია პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის.

<u>რაც შეეხება შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს, მასში შესულია:</u>

- პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებიდან შემოსავალი, რომელიც 2022წ. შემოსავალთან მიმართებით გაზრდილია 170%-ით, რაც გამოწვეულია იმით, რომ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2023წელს შერჩეული იქნა აკადემიის პროფესიული მომზადება/გადამზადების მეტი პროგრამა, ვიდრე წინა წელს და ამასთან, წლის განმავლობაში დაფინანსდა ორი ნაკადის მიღება.

- პარტნიორი ორგანიზაციისთვის პროგრამების შექმნიდან შემოსავალი.

- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით განხორციელებული ექსტრაკურიკულური აქტივობის განხორციელების მიზნით ჩატარებული პროექტის ,,ინტელექტუალური ოლიმპიადა - მომავლის ბიზნესმენები“ შემოსავალი.

-დაწესებულების დამატებით შემოსავალს (სხვა შემოსავალი) წარმოადგენს ცნობის საფასური, საპროცენტო შემოსავლები და ა.შ.

მთლიანი ხარჯი



აკადემიის მთლიანი ხარჯები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 55 %-ით, რაშიც შესულია პერსონალის ანაზღაურებისა და განვითარების ხარჯები, მარკეტინგული და სარეკლამო აქტივობების ხარჯები, კომუნალური, სტუდენტთა სწავლების ხარჯი და სხვა.

-შრომის ანაზღაურების ხარჯი, რომელიც აკადემიის საერთო ხარჯის 56 %-ს წარმოადგენს, წინა წელთან შედარებით 57%-ით არის გაზრდილი. სახელფასო ფონდის ზრდა გამოწვეულია კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, პროფესიული მასწავლებლების გაზრდილი რაოდენობითა და მათთვის ანაზღაურების მატებით. ასევე, გაიზარდა ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და ანაზღაურება.

-2023წ. ბოლოს შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ბალანსზე აღრიცხული ქონების ცვეთამ და ამორტიზაციამ შეადგინა მთლიანი ხარჯების 7%, ხოლო ქონების გადასახადმა-- ხარჯების 1%. საგადასახადო ხარჯში ქონების გადასახადთან ერთად შესულია ორგანიზაციის მიერ გადახდილი, დამსაქმებლის წილი საპენსიო შენატანები.

-აკადემია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში. საიჯარო ხარჯმა შეადგინა მთლიანი ხარჯების 7 %.

-სტუდენტთა სწავლების ხარჯებმა 2023წ. შეადგინა მთლიანი ხარჯის 7 %. იგი მოიცავს პროგრამებით გათვალისწინებული მასალა-ნედლეულის ხარჯებს, სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზების ხარჯებს, სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის ხარჯებს და ა.შ.

-სხვა საერთო ხარჯი აერთიანებს ისეთ ხაჯებს, როგორებიცაა, დებიტორულული დავალიანებების გაუფასურების ხარჯი, საოფისე ხარჯები, ბანკის მომსახურების ხარჯი , მიმდინარე სამეურნეო ხარჯი და სხვა .

აკადემია მუდმივად ზრუნავს სტუდენტებზე და ახორციელებეს სხვადასხვა ტიპის სოციალურ პროგრამებს და აქტივობებს. მაგ: თუ სტუდენტი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიდან, მას სწავლის საფასური უმცირდება 20%-ით, ან თუ ერთი ოჯახიდან ერთდროულად სწავლობს ოჯახის ორი ან მეტი წევრი, ოჯახის ერთ წევრს სწავლის საფასური უმცირდება 20%-ით. ასევე, მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტების მოზიდვის მიზნით, აკადემია 15%-იან ფასდაკლებას უკეთებს იმ სტუდენტებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე დააგროვეს გარკვეული რაოდენობის ქულა და სხვა.

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA
ფინანსური მენეჯერი